

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი



ქ. ბათუმი

„01 თებერვალი“ 2021 წ.

ბრძანება №01-03-17

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ №23-ე, №30-ე, №33-ე საბავშვო ბაღის გამგის, №მე-16 საბავშვო ბაღის უფროსი აღმზრდელის, №მე-10, №32-ე საბავშვო ბაღების აღმზრდელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 მარტის N-277-ე ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ :

1. 2021 წლის 02 თებერვლიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ №23-ე, №30-ე, №33-ე საბავშვო ბაღის გამგის, №მე-16 საბავშვო ბაღის უფროსი აღმზრდელის, №მე-10, №32-ე საბავშვო ბაღების აღმზრდელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად;
2. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად: პირველი ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, მეორე ეტაპი - გასაუბრება;
3. ღია კონკურსის ჩასატარებლად განაცხადების მიღება დაიწყოს 2021 წლის 02 თებერვლიდან 2021 წლის 11 თებერვლის ჩათვლით საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე ატვირთვის გზით ან ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ კანცელარიაში, მდებარე ქალაქი ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა 42-ში, შემოტანის გზით;
4. დაევალოს ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ კანცელარიას მიიღოს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტები;

5. წინამდებარე ბრძანების ასლი განთავსდეს ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ადმინისტრაციის შენობაში, მდებარე ქალაქი ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა №42-ში, საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30).

დირექტორი:



თენგიზ აფხაზავა